ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში
საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის
წლიური ანგარიში
2018 წლის იანვარი - 2019 წლის იანვარი

2018 წლის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედმა დელეგაციამ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში, 2018 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო ასამბლეის მიერ ორგანიზებულ ხუთ ღონისძიებაში. აღნიშნული ღონისძიებებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს, საქართველო-ნატო-ს საპარლამენტთაშორისო საბჭოს შეხვედრა, ასამბლეის საგაზაფხულო და წლიური სხდომები.

2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

- გაფართოვდა საქართველო-ნატო-ს საპარლამენტთაშორისო საბჭოს შემადგენლობა;
- ასამბლეის საგაზაფხულო სხდომაზე მიღებულ დეკლარაციაში აისახა დელეგაციის მიერ წარდგენილი ერთი შენიშვნა;
- ასამბლეის წლიურ სხდომაზე მიღებულ ორი რეზოლუციაში, დელეგაციამ ჯამში ხუთი შენიშვნა შეიტანა;
- ასევე, რიგი შენიშვნები აისახა ასამბლეის კომიტეტის მიერ შემუშავებულ ერთ ანგარიშში.

2018 წლის თებერვალი

საქართველო-ნატო-ს საპარლამენტთაშორისო საბჭოს შეხვედრა, 2018 წლის 26 თებერვალს ქ. ბრიუსელში (ბელგიის სამეფო) გაიმართა. შეხვედრაზე, საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი არაერთხელ იქნა ნახსენები, რაც, შედეგად, ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციაში შეუწყობს ხელს. დისკუსიის ფარგლებში, რიგ საკითხებთან ერთად, როგორებიცაა საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭების პერსპექტივები, განხილულ იქნა რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები და იქ არსებული ვითარება.

2018 წლის აპრილი

23-25 აპრილს, ქ. ბათუმში (საქართველო) გაიმართა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის და საქართველოს პარლამენტის მიერ ერთობლივად ორგანიზებული „როუზ-როს“-ის რიგით 97-ე სემინარი. ღონისძიების ფარგლებში განხილული იყო ისეთი საკითხები როგორებიცაა: შავი ზღვის რეგიონის ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სივრცეში, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები, საქართველოში განხორციელებული რეფორმები და დემოკრატიზაციის

პროცესები, საპარლამენტო მმართველობის სისტემაზე გადასვლა, სამხრეთ კავკასიაში არსებული უსაფრთხოების გამოწვევები და რუსეთის ფედერაციის ფაქტორი, ცენტრალურ აზიის ქვეყნებში არსებული ვითარება. სემინარის მიმდინარეობის პარალელურად, შედგა საქართველოს-ნატო-ს საპარლამენტთაშორისო საბჭოს შეხვედრა, სადაც, განხილული იყო საქართველოს ალიანსში წევრობის პერსპექტივები., შეხვედრაზე, ასევე, გადაწყდა საქართველოს-ნატო-ს საპარლამენტთაშორისო საბჭოს გაფართოება. საქართველოს-ნატო-ს საპარლამენტთაშორისო საბჭოში ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დამატებით ხუთი კომიტეტის ხელმძღვანელი შევიდა, რაც საბჭოს საქმიანობას უფრო ეფექტურს გახდის.

2018 წლის მაისი

25-28 მაისს, ქ. ვარშავაში (პოლონეთი) გაიმართა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესია. ღონისძიების ფარგლებში განხილული იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა ალიანსის მოახლოებული ივლისის სამიტი, რუსეთისგან მომდინარე კონვენციური და არაკონვენციური საფრთხეები, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხები. ასამბლეამ, პლენალური სხდომაზე დაამტკიცა დეკლარაცია, რომელშიც ალიანსის ღია კარის პოლიტიკაზე და ასპირანტი ქვეყნების გაწევრიანების პერსპექტივებზეა საუბარი. აღნიშნულ დოკუმენტში, საქართველოს დელეგაციის ინიციტივით შევიდა ცვლილება, რომელიც ალიანსში გაწევრიანების პროცესში საქართველოს პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას შეეხება.

2018 წლის ნოემბერი

16-19 ნოემბერს, ქ. ჰალიფაქსში (კანდა)ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის რიგით 64-ე წლიური სესია გაიმართა. დელეგაციამ, მნიშვნელოვანი შენიშვნები შეიტანა ასამბლეის ერთ ანგარიშში და ორ რეზოლუციაში, რომლებიც საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის მხარდაჭერას ასახავს.

ანგარიში მოამზადა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის მდივანმა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წამყვანმა სპეციალისტმა საერთაშორისო ურთიერთობებში დავით ღუჭაშვილმა.